

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი №18

ქ. გარდაბანი

30 ნოემბერი 2022 წელი 13⁰⁰ სთ.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე მიხეილ გედეხაური

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი:

სამირ ხიალოვი	ლია მეტრეველი
ზაზა ონიანი	მაია შამედოვა
ვუგარ მამედოვი	კამრან ბაბაევი
ლევან ნიჟარაძე	ფლორა ასკაროვა
სახმან მირზოევი	ლევანი ბეგლარიშვილი
რასიმ ისაევი	აბდულალი იბრაგიმოვი
ბეთქილ კახიანი	თორნიკე ქავთარაძე
გიორგი გურულიშვილი	ლაშა ქართლოსიშვილი
ტარიელ ჯანხოთელი	ანი მანჩხაშვილი
მირზა მირზოევი	ეველინა ჩოხელი
შახადატ მეხრაღიევი	ზურაბი კორახაშვილი
დავითი ებილაშვილი	მადონა გაბროშვილი
ზურაბი ბენდელიანი	აკიფ ისმაილოვი
თამარი ხაჩიძე	მეითხან მეითხანოვი
ისლამ მამედოვი	ნათია ბარათელი
ანარ მურადოვი	

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
პირველადი სტრუქტურული ერთეულის -
აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე -
ნაია დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მეორადი სტრუქტურული ერთეულის -
საორგანიზაციო განყოფილების ხელმძღვანელი -
დავით მერაბიშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
მეორადი სტრუქტურული ერთეულის -
სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი -
ნინო დათუაშვილი

გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი -
ბესო მამისურაძე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ ბენდელიანმა, საკრებულოს წევრებს წარუდგინა
ახალი საკრებულოს წევრი „ერთიანი ნაციონალური“ მოძრაობიდან - ნათია ბარათელი,
რომელმაც დაიკავა საკრებულოს გამოკლებული წევრის, ხვიჩა მესხიშვილის ადგილი.

დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 (ცხრა) თვის შესრულების ანგარიშის ცნობად
მიღების შესახებ.

მომხსენებელი: **შალვა გურულიშვილი**
თანამომხსენებელი: **ლევანი ნიუარაძე**

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გურამ თუშიშვილისა და
მწვრთნელის, გიორგი შინჯიკვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გიორგი გოგოჩაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, არსენა შოშიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, დავით ლორიაშვილისა და მწვრთნელის, ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: **ლევანი ნიჟარაძე**

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ:

სხდომის თავმჯდომარემ – გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ - მიხეილ გედეხაურმა სხდომა გახსნილად გამოაცხადა. საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი და დააყენა კენჭისყრაზე დასამტკიცებლად:

დღის წესრიგი:

დამტკიცდეს წარმოდგენილი დღის წესრიგი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 9 (ცხრა) თვის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: **შალვა გურულიშვილი**
თანამომხსენებელი: **ლევანი ნიჟარაძე**

2. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გურამ თუშიშვილისა და მწვრთნელის, გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

3. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გიორგი გოგოჩაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

4. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, არსენა შოშიაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

5. გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, დავით ლორიაშვილისა და მწვრთნელის, ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ.

მომხსენებელი: **თამარ ხაჩიძე**

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

მომხსენებელი: **ლევანი ნიჟარაძე**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

წარმოდგენილი დღის წესრიგი დამტკიცებულია.

საკითხი 1.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა - ბესო მაისურაძემ, საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის შესრულების ანგარიში**, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების

ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისა და დასასრულისათვის, დაზუსტებული ასიგნებების შესრულების მაჩვენებლებს. ანგარიში ასევე შეიცავს ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ხარჯების შესახებ. სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:
32 ხელმოწერა

ცნობად იქნა მიღებული განკარგულება №113 - „**გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 (ცხრა) თვის შესრულების ანგარიშის ცნობად მიღების შესახებ**“.

საკითხი 2.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის, გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 6-12 ოქტომბერს, უზბეკეთში (ქ.ტაშკენტში) ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, ძიუდოსტმა, გურამ თუშიშვილმა (პ/ნა +100 კგ წონით კატეგორიაში, დაიკავა III საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია გიორგი შინჯიკაშვილი (პ/ლ

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენს, გურამ თუშიშვილს ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოეყოს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი და მწვრთნელს - გიორგი შინჯიკაშვილს ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოეყოს 750 (შვიდას ორმოცდაათი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის, გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ**“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 6

მიღებულია განკარგულება №114 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გურამი თუშიშვილისა და მწვრთნელის, გიორგი შინჯიკაშვილის დაჯილდოების შესახებ“.

საკითხი 3.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გიორგი გოგოჩაშვილის დაჯილდოების შესახებ**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის მსოფლიო მკლავჭიდის და პარა-მკლავჭიდის ჩემპიონატზე თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოს მკლავჭიდის შშმპ ეროვნული ნაკრების პრიზიორმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, სპორტსმენმა გიორგი გოგოჩაშვილმა (პ/ნ) 100კგ წონით კატეგორიაში (მარჯვენა ხელი,თვალის კატეგორია (VIM)) - დაიკავა II ადგილი (ვერცხლის მედალი).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენს, გიორგი გოგოჩაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოეყოს 1000 (ერთი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - „**გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გიორგი გოგოჩაშვილის დაჯილდოების შესახებ**“.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26

წინააღმდეგი – 6

მიღებულია განკარგულება №115 - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, გიორგი გოგოჩაშვილის დაჯილდოების შესახებ“.

საკითხი 4.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, არსენა შოშიაშვილის დაჯილდოების შესახებ**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის მსოფლიო მკლავჭიდის და პარა-მკლავჭიდის ჩემპიონატზე თურქეთის რესპუბლიკაში, საქართველოს მკლავჭიდის შშმპ ეროვნული ნაკრების პრიზიორმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, სპორტსმენმა, არსენა შოშიაშვილმა 90კგ. წონით კატეგორიაში (მარჯვენა ხელი, ფეხის კატეგორია (PIUM)) - დაიკავა I ადგილი (ოქროს მედალი).

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენს, არსენა შოშიაშვილის ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოეყოს 2000 (ორი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენთა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, არსენა შოშიაშვილის დაჯილდოების შესახებ“**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27

წინააღმდეგი – 5

მიღებულია განკარგულება №116 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, არსენა შოშიაშვილის დაჯილდოების შესახებ“**.

საკითხი 5.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ - თამარ ხაჩიძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენის, დავით ლორიაშვილისა და მწვრთნელის, ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ**. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 11-13 ნოემბერს, ყირგიზეთში (ქ.ბიშკეკში) ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მკვიდრმა, სამბისტმა დავით ლორიაშვილმა (3/5 98 კგ წონით კატეგორიაში, დაიკავა II საპრიზო ადგილი, მისი მწვრთნელია, ბადრი ბედიანაშვილი (3/5

საკრებულოს წევრების მიერ მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებულ სპორტსმენს, დავითი ლორიაშვილს ერთჯერადად

დაჯილდოების მიზნით, გამოიყოს 2000 (ორი ათასი) ლარი და მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილს ერთჯერადად დაჯილდოების მიზნით, გამოეყოს 1000 (ერთი ათასი) ლარი ბიუჯეტის „წარმატებულ სპორტსმენტა დაჯილდოების ხარჯებიდან“.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭი ეყარა განკარგულებას - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენტის, დავითი ლორიაშვილისა და მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“.**

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 28

წინააღმდეგი – 4

მიღებულია განკარგულება №117 - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენტის, დავითი ლორიაშვილისა და მწვრთნელის - ბადრი ბედიანაშვილის დაჯილდოების შესახებ“.**

საკითხი 6.

მომხსენებელმა, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ნიჟარაძემ საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - **„გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“** და განმარტა, რომ „გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 თებერვლის N4 დადგენილების შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) აუნაზღაურდებათ საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული მ/წ ნომბრის თვის ხარჯები, რომლის ოდენობას წარმოდგენილი მასალის შესწავლისა და ანალიზის შედეგად განსაზღვრავს თვითონ საკრებულო.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრებს, კენჭი ეყარათ წარმოდგენილი განკარგულების პროექტისათვის.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 32

წინააღმდეგი – 0

მიღებულია განკარგულება №117 - „გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისათვის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ გედეხაური

